HELIAE • UNIVERSITAS • PUBLICA

LIGAMUS

Centre for Lexicography and Language Technologies
Ilia State University

# Proceedings of the I International Conference
# *Lexicography in the XXI Century*

10 – 12 November, 2023
Edited by Tinatin Margalitadze

Tbilisi
2024

ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საერთაშორისო კონფერენციის კრებული
# *ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში*

10 – 12 ნოემბერი, 2023

რედაქტორი თინათინ მარგალიტაძე

თბილისი
2024

## Scientific Committee of the Conference:

Arleta Adamska (Adam Mickiewicz University, Poznań, Poland)
Vladimir Benko (Slovak Academy of Sciences)
Maria José Domínguez (University of Santiago de Compostela, Spain)
Donna Farina (New Jersey City University, USA)
Rufus Gouws (Stellenbosch University, South African Republic)
Carla Marello (University of Turin, Italy)
Tinatin Margalitadze (Ilia State University, Georgia)
Katalin Márkus (Károli Gáspár University of the Reformed Church in Hungary)
Elsabe Taljard (University of Pretoria, South African Republic)
Pius ten Hacken (University of Innsbruck, Austria)
Lars Trap-Jensen (Society for Danish Language and Literature, Denmark)
Alenka Vrbinc (University of Ljubljana, Slovenia)
Marjeta Vrbinc (University of Ljubljana, Slovenia)
Geoffrey Williams (Université de Bretagne Sud, France)

## კონფერენციის სამეცნიერო საბჭო:

არლეტა ადამსკა (ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტი პოზნანში, პოლონეთი)
ვლადიმირ ბენკო (სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემია)
რუფუს გოუვსი (სტელენბოსის უნივერსიტეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)
მარია ხოსე დომინგესი (სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი)
ალენკა ვერბინცი (ლიუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია)
მარიეტა ვერბინცი (ლიუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია)
თინათინ მარგალიტაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
კარლა მარელო (ტურინის უნივერსიტეტი, იტალია)
კატალინ მარკუსი (რეფორმატული ეკლესიის კაროლი გაშპარის სახელობის უნივერსიტეტი, უნგრეთი)
ელსაბე ტალიარდი (პრეტორიის უნივერსიტეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)
პიუს ტენ ჰაკენი (ინსბრუკის უნივერსიტეტი, ავსტრია)
ლარს ტრაპ-იენსენი (დანიური ენისა და ლიტერატურის საზოგადოება)
ჯეფრი უილიამსი (სამხრეთ ბრეტანის უნივერსიტეტი, საფრანგეთი)
დონა ფარინა (ნიუ ჯერზის უნივერსიტეტი, აშშ)

© Centre for Lexicography and Language Technologies
Ilia State University

© ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი
ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-476-5

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## Acknowledgements

We would like to thank all those who have made the I International Conference „Lexicography in the XXI Century“ possible, by contributing to the reviewing, to the logistics and by financially supporting the event.

In particular, we would like to thank our sponsoring partners:

Sulakauri Publishing House
IDM Group
Ilia State University
LEPL – Bureau of Translation of International Agreements of Georgia,
Ministry of Foreign Affairs of Georgia
Batumi Medical University AVICENNA

## მადლობა ხელშეწყობისთვის

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც დაგვეხმარა საერთაშორისო კონფერენციის „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“ ორგანიზებასა და ჩატარებაში თეზისების რეცენზირებით, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტითა თუ ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერით.

კერძოდ, გვინდა მადლობა გადავუხადოთ კონფერენციის სპონსორებს:

- სულაკაურის გამომცემლობას
- პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ ფრანგულ კომპანიას IDM ჯგუფი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს
- საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს“
- ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს „ავიცენა“

PUBLICA • HELIAE • UNIVERSITAS

idm

სულაკაურის
გამომცემლობა

AVICENNA
Batumi Medical University

# Contents


Foreword ..... 9

წინასიტყვაობა ..... 11

Theories of the Lexicon and Decisions in Dictionary Making ..... 13
*Pius ten Hacken*

The Best of Two Worlds: Exploring the Synergy between Human Expertise and AI in Lexicography ..... 26
*Lars Trap-Jensen*

ENCO: Conceptualising a Multilingual Corpus-Based Terminological Database for Environmental Economics ..... 40
*Alberte Fernández Castro*

Comparing Dictionary Lookup Expertise: Two Groups of English Learners ..... 51
*Donna M. T. Cr. Farina, Marjeta Vrbinc, Alenka Vrbinc*

Terminological Inconsistences and Translation Problems in Legislative and Other Institutional Documents ..... 60
*Nana Gogia*

Mapping the Morphing Meanings: Identification and Representation of Semantic Shifts in Lexicographical Works ..... 72
*Seda Hovhannisyan, Utpal Pandey*

Georgian Terminology: Tradition and Present State ..... 83
*Tamar Kvitsiani*

*Semplessità:* a Corpus-Based Study on Blending in Italian ..... 88
*Mauro Le Donne*

Preserving Endangered Kartvelian Languages: Lexicographic Insights for the Megrelian Dictionary ..... 104
*Irina Lobzhanidze, Rusudan Gersamia*

On the Lexical level in Sign Languages ..... 114
*Tamar Makharoblidze*

The Nature of Language Change ..... 124
*George Meladze*

A Reader and Translator's False Friends in Shakespeare's Plays Macbeth and King Lear: Lexicological and Lexicographic Aspects ..... 140
*Ketevan Mchedlishvili*

Enhancing Lexicographic Work with Terminological Methods ........................................ 150
*Ana Salgado, Rute Costa*

Corpus-based Lexicography: Insights into the Use of *Otaku* in Mexican Spanish............ 162
*Fabian Steuernagel, Rebeca Pérez Acosta*

Entry Word Selection for a Specialised Dictionary: Plant Names .................................... 175
*Silga Sviķe*

Collocations in Specialized Context: Towards the Modeling of
an English-Georgian Database of Financial Audit Terminology ...................................... 189
*Ketevan Tchigladze*

Challenging Aspects Related to the Translation and Exemplification
of Lexical Units in the Paralympic Dictionary .................................................................. 202
*Ana Luiza Treichel Vianna, Mikaela Luzia Martins, Rove Luiza de Oliveira Chishman*

Comparative Analysis of English Collocations Dictionaries: A Study of the
Oxford Collocations Dictionary and the Macmillan Collocations Dictionary .................... 216
*Akerke Yessenali*

# Foreword

The I International Conference „Lexicography in the XXI Century“ was held at Ilia State University, Tbilisi, Georgia from 10 to 12 November, 2023. On behalf of the organizing committee and the scientific committee of the conference, I am pleased to present this volume of the proceedings. It is published in the digital format on the Internet, as well as will be printed as a book.

The international conference “Lexicography in the XXI century“ was established in 2022 by Ilia State University and Batumi Shota Rustaveli State University. The organizer of the conference is “The Centre for Lexicography and Language Technologies“.

The conference will be held bi-annually, alternatively at Ilia State University and Batumi State University.

The aim of the Conference is to create a forum for the discussion of issues of modern lexicography in Georgia, to further popularize this field, to promote sustainable development of lexicography in Georgia and the entire region. Lexicography as a field of knowledge has undergone significant evolution. It has always kept abreast of the newest developments in linguistics and allied sciences, which would become the basis for new theories, methods, and approaches. But the advent of the digital era proved to be the greatest challenge for lexicography, causing revolutionary changes and turning it into one of the most dynamic and rapidly developing fields of knowledge. Printed dictionaries gave way to electronic and online dictionaries, which gradually determined radical rethinking of many theoretical and practical issues. Rapid changes in language technology and artificial intelligence and the demand for the creation of more sophisticated applications compel lexicographers to look ahead and foresee the place of lexicography and lexicographers in these developments. It can be said that modern lexicography has become a truly multidisciplinary field. In such an interdisciplinary activity, scholars need to be innovative, to look for new ways, new methods, and new approaches. On the other hand, with the advent of digital technologies in philology, too much preoccupation with new technologies and relying excessively upon them, sometimes maybe counterproductive. Here too, a creative combination of various methods and approaches is of great importance.

In terms of the above-described circumstances, the current situation of Georgia differs from the state of European countries. There is still a lot to be done in Georgian lexicography, a lot of language resources are to be created that can be used in language technologies and applications. Therefore, we consider it important to establish and hold such a forum in Georgia, which, we hope, will contribute to the proper development of this important field in our country, in the region and in countries similar to Georgia. We

hope that the conference will contribute to the familiarization of scholars, working in this field, with European and, in general, international knowledge and expertise, and will help develop their own approaches and methodologies adapted to their languages and linguistic situation. We also hope that the Conference will promote the popularization of lexicography in our region and will attract talented young people to work in this field.

The topics of the conference included the following: Lexicography and Language Technologies; Lexicography and Corpus Linguistics; Lexicography for Specialized Languages, Terminology, and Terminography; Lexicological Issues of Lexicographical Relevance; Bilingual Lexicography; The Dictionary-Making Process; Research on Dictionary Use and Issues of Dictionary Didactics. During the review process every submitted paper was evaluated by two independent blind referees.

At the Conference, special attention was paid to the participation of young researchers. The Conference had sessions dedicated to MA and Ph.D. students.

The motto of the Conference was: „Lexicography – by combining traditional methods and modern technologies".

On behalf of the organizing committee of the I International Conference „Lexicography in the XXI Century", held at Ilia State University, I would like to express our gratitude to the keynote speakers, Dr. Lars Trap-Jensen from the Society for Danish Language and Literature, and Professor Pius ten Hacken, the Innsbruck University, Austria, for presenting very interesting and highly instructive speeches, to all the contributors for submitting relevant and interesting papers. I would like to thank all the colleagues who reviewed the papers, all sponsors who supported us for this edition and who are listed on a dedicated page within these proceedings. We would like to extend our gratitude to the Consortium of the „European Master in Lexicography", for sponsoring EMLex students whose abstracts were accepted for the presentation at the Conference. I want to thank the administration of Ilia State University for the invaluable help in the organization of the Conference.

*Professor Tinatin Margalitadze*

# წინასიტყვაობა

პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“ გაიმართა 2023 წლის 10-12 ნოემბერს თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და სამეცნიერო საბჭოს სახელით წარმოგიდგენთ კონფერენციის კრებულს. იგი გამოქვეყნებულია ინტერნეტში ციფრული გამოცემის სახით, თუმცა იგეგმება კრებულის წიგნად დაბეჭდვაც.

საერთაშორისო კონფერენცია „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“ დაარსდა 2022 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. კონფერენციის ორგანიზატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი“.

კონფერენცია გაიმართება ორ წელიწადში ერთხელ მონაცვლეობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის მიზანია საქართველოში შექმნას ფორუმი თანამედროვე ლექსიკოგრაფიის საკითხებზე სამსჯელოდ, დარგის შემდგომი პოპულარიზაციისათვის, ლექსიკოგრაფიის მდგრადი განვითარებისათვის როგორც საქართველოში, ისე მთელ რეგიონში. ლექსიკოგრაფიამ, მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე დიდი ევოლუცია განიცადა. იგი მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მიჰყვება ენათმეცნიერებისა თუ სხვა მომიჯნავე დარგების მიღწევებს, რომლებიც საფუძვლად ედებოდა ახალ თეორიებს, მეთოდებსა თუ მიდგომებს. მაგრამ ციფრულმა ეპოქამ ყველაზე დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა დარგი, გამოიწვია მასში რევოლუციური ცვლილებები და ლექსიკოგრაფია გადააქცია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად დარგად.

ბეჭდურმა ლექსიკონებმა გზა დაუთმეს ელექტრონულ და ონლაინლექსიკონებს, რამაც თანდათან მოითხოვა მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხის გადააზრება. სწრაფი პროგრესი ენობრივი ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სფეროში და უფრო სრულყოფილი და დახვეწილი აპლიკაციების შექმნის მოთხოვნა ქმნის იმის საჭიროებას, რომ ლექსიკოგრაფებმა წინ გაიხედონ და განსაზღვრონ ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოგრაფების ადგილი ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით. თანამედროვე ლესიკოგრაფია ჭეშმარიტად მულტიდისციპლინურ დარგად გადაიქცა. ამგვარი ინტერდისციპლინური საქმიანობისას, საჭიროა მეცნიერები გახდნენ ინოვაციურები, ეძებონ ახალი გზები, მეთოდები, მიდგომები. მეორე მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების შემოჭრა ფილოლოგიაში ხანდახან იწვევს მეტისმეტ ყურადღებას ტექნოლოგიებისადმი და მათი შესაძლებლობების გადაჭარბებულ შეფასებას, შინაარსის საზიანოდ. აქაც საჭიროა სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შემოქმედებითი კომბინაცია.

ზემოხსენებული ვითარების გათვალისწინებით, ქართული ლექსიკოგრაფიის

დღევანდელი მდგომარეობა განსხვავდება ევროპული ქვეყნების მდგომარეობისგან. ქართულ ლექსიკოგრაფიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ძალიან ბევრი ენობრივი რესურსია შესაქმნელი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ენობრივი ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების განვითარებას. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია ასეთი ფორუმის საქართველოში ჩატარება, რომელიც, იმედი გვაქვს, უზრუნველყოფს ამ მნიშვნელოვანი დარგის სწორ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, რეგიონსა და საქართველოს მსგავს სხვა ქვეყნებში. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია, ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებს, დაეხმარება ევროპული, და ზოგადად, საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაცნობაში და საკუთარი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებაში, რომლებიც მორგებული იქნება მათ ენებსა და ენობრივ ვითარებაზე. ასევე ვიმედოვნებთ, რომ კონფერენცია ხელს შეუწყობს რეგიონში დარგის პოპულარიზაციას და ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას ლექსიკოგრაფიის სფეროში სამუშაოდ.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკოგრაფია და ენობრივი ტექნოლოგიები; ლექსიკოგრაფია და კორპუსის ლინგვისტიკა; ლექსიკოგრაფია სპეციალური ენებისათვის, ტერმინოლოგია და ტერმინოგრაფია; ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ლექსიკოლოგიური საკითხები; ორენოვანი ლექსიკოგრაფია; ლექსიკონის შექმნის პროცესი; ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა და ლექსიკონის დიდაქტიკა. კონფერენციაზე წარმოდგენილმა ყოველმა მოხსენებამ გაიარა ორი ანონიმური რეცენზირება.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა მკვლევრების მონაწილეობას. კონფერენციაზე იყო სპეციალური სხდომები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტებისათვის.

კონფერენციის წამყვანი თემატიკა იყო: „ლექსიკოგრაფია ტრადიციული მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სინთეზის გზით“.

საერთაშორისო კონფერენციის „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“ საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პლენარულ მომხსენებლებს, დოქტორ ლარს ტრაპ-იენსენს, დანიური ენისა და ლიტერატურის საზოგადოებიდან და პროფესორ პიუს ტენ ჰაკენს, ინსბრუკის უნივერსიტეტიდან, ავსტრია, უაღრესად საინტერესო და საგულისხმო მოხსენებების წარმოდგენისათვის. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კონფერენციის ყველა მონაწილეს საინტერესო და რელევანტური მოხსენებებისათვის, მადლობა კოლეგებს თეზისებისა და სტატიების რეცენზირებისათვის. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ კონფერენციის სპონსორებს ღონისძიების მხარდაჭერისათვის. მათი სახელები და ლოგოები კრებულის შესაბამის გვერდებზეა განთავსებული. გვსურს დიდი მადლობა მოვახსენოთ „ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის“ კონსორციუმს, პროგრამის სტუდენტების კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურებისათვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კონფერენციის ორგანიზებაში გაწეული დიდი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

*პროფესორი თინათინ მარგალიტაძე*